

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2016 წლის 4 აპრილი

ქ. გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.
გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 06.10.2016 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 ნოემბრის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 09.11.2016 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85¹ მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „გურჯაანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესი“, დანართი №1-ის შესაბამისად.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

მუხლი 2

დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი დანართი №2-ის შესაბამისად.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

მუხლი 3

ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებელს უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმის შემუშავება, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 4

ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის საჭირო ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 5

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 მაისის №16 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, 29/05/2014, 010250020.35.166.016144)

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვანო ბერიძე



გურჯაანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესი“ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის (შემდგომ – მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები) მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესს, ფორმას და ადგილს.

2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით.

3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 06.10.2016 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 ნოემბრის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 09.11.2016 წ.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ფორმა და წესი

1. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია ქვეყნდება როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

2. პროაქტიურად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ნებისმიერი პირისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუმზებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან/და ნებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან.

4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების ადგილი

1. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოფენ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას ამ მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით:

- ა) ელექტრონული ფორმით – მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების ელექტრონულ რესურსზე;
- ბ) ან ბეჭდური ფორმით – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განთავსებულ საჯარო განცხადებების დაფაზე.

2. ელექტრონული ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების ვებგვერდებზე ან/და მათ მართვაში არსებული სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენებით (მიეთითება მუნიციპალიტეტის ელექტრონული რესურსების დასახელება ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება საჯარო განცხადებების დაფების გამოყენებით, რომელიც უნდა განთავსდეს დასახლებების უბნების მიხედვით, უბანში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე არანაკლებ ერთი საინფორმაციო განცხადების დაფის ოდენობით.

4. მუნიციპალიტეტის დასახლებებში საინფორმაციო განცხადების დაფაზე ინფორმაციის განახლებაზე პასუხისმგებელია შესაბამის დასახლებაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი.



5. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია დიდი მოცულობისაა და მისი სრულად გამოქვეყნება ვერ ხერხდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების და იურიდიული პირ(ებ)ის შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას ან/და მუნიციპალიტეტის დასახლებებში საინფორმაციო განცხადებების დაფებზე, აუცილებელია აღნიშნულ ადგილებში მიეთითოს დოკუმენტის შესაბამისი რეკვიზიტები (სათაური, მიმღები ორგანო, მიღების თარიღი, დოკუმენტის ნომერი) და ადგილი, სადაც შესაძლებელია დოკუმენტის სრული ვერსიის გაცნობა და ასლის გადაღება.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

მუხლი 4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტი

1. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. აღნიშნული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს მისი განახლების თარიღი.

2. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/დაზიანების გარეშე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

დანართი №2

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

მუხლი 1

ზოგადი დებულება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესს და ფორმას.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი და მხარეს გადაახდევინოს თანხა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული ოდენობით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

გურჯაანის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 06.10.2016 წ.

გურჯაანის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 ნოემბრის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 09.11.2016 წ.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ან წერილობითი ფორმით. განცხადება უნდა დარეგისტრირდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ან/და გაიგზავნოს მოთხოვნა ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე gurjaani.mun@gmail.com., gurjaanisraioni@gmail.com.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

გურჯაანის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 06.10.2016 წ.

გურჯაანის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 ნოემბრის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 09.11.2016 წ.

მუხლი 4. (ამოღებულია - 03.10.16 №32)

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.



გურჯაანის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 06.10.2016 წ.

გურჯაანის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 ნოემბრის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 09.11.2016 წ.

მუხლი 5. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურები და ვადები

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელ-განცხადება რეგისტრირდება და შემდგომში შესაბამის განცხადებაზე რეაგირება დაევალება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს (პირებს), რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება.
2. ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, აღნიშნული ინფორმაცია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს.
3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით.
4. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 08.08.2016 წ.

გურჯაანის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 06.10.2016 წ.

გურჯაანის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 ნოემბრის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 09.11.2016 წ.

